

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

მარიამ ერისთავი

გრძელვადიანი ინვესტირების სახელმწიფოებრივი  
სტიმულირება და მისი განვითარება

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება,  
შიფრი 02

თბილისი - 2020

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი,

პროფესორი

/ზ. ღუდუშაური/

ოფიციალური რეცენზენტები:

- 1.
- 2.

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის „----“ -----“ --- საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის“ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია -----

მისამართი: თბილისი, 0175, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ავტორეფერატისა კი - ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ([www.gtu.ge](http://www.gtu.ge)).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

პროფესორი ლელა კოჭლამაზაშვილი

## ABSTRACT

This dissertation is dedicated to the development of long-term investment in Georgia and the stimulation of the state. Work on long-term investment areas - energy, transport and logistics, mining and road infrastructure - is accomplished.

The thesis consists of an introduction, three chapters and a conclusion. The introduction is presented with a standard structure and includes the actuality of the research problem, the purpose and objectives of the research, the subject and object, the research methods, the research news, and more.

**The first chapter** of the dissertation deals with three issues: **Country investment activity and investment potential** (it discusses the concept of investment, the concept of investment activity and investment potential. All of these categories are presented by the author, presented by various scholars, and gives a conceptual overview. Explanation Liaisons of investment potential with country's wealth), **sources of investment** (internal and external sources are discussed, forms of attracting foreign investment, pros and cons of foreign investment, etc.). That Georgia's domestic source of investment has increased to GEL 11 billion in savings. According to the author, either the population is more trusted by commercial banks or they do not have information about alternative investment projects (the investment agent should reinforce its work in this regard) and **the motivation for investment activity and its regulation concepts** (in this case the author will look at investment activity). State of the Ro The issue of whether it should be the initiator of investment projects (build, sell, lease) should have a list of such facilities, a map, a development package, conduct research in this area, and so on. Etc.).

**The second chapter** of the dissertation discusses four issues. In the first issue - **analysis of equity investments**, the volume, structure and dynamics of both FDI in Georgia and the ten years (2007-2017) have been studied and evaluated. It is estimated that during this period investments in agriculture increased from 4371 million GEL to 11238.3 million GEL or 257.1%. It is also found that 7.6% of these investments are invested in the non-financial corporate sector, which is positively assessed. Foreign direct investment volume increased by 8.1% from 1752.6 million USD to 1894.5 million USD. During this period, foreigners invested 23.7% of their investments in transport and communications, 13.2% in energy, and 11.6% in mining. The author estimates that all three of these areas are long-term investments.

The second issue is **the analysis of the legislative base of Georgian Investment Management and Regulation in the context of its capability**, in this section it analyzes the activities of the European Investment Agency, LEPL Georgia and the Partnership Fund and is also critically evaluated by Georgia. Laws:

1. "On Investment Promotion and Guarantees".
2. "On Investment Support".
3. Joint Stock Company on Partnership Fund.

In the first, the author makes three remarks to Articles 6, 10, and 13. In the second one, remarks are made on Article 1 (paragraph 2) and Article 12 (paragraph 5). In the third, a reference is made to Article 9.

Thirdly, the author presents **an explicit analysis of the progress of long-term investment in energy, transport and logistics, as well as separate projects in road infrastructure - Anaklia Port, Khudoni HPP and others.**

The fourth issue presents a monographic study of the author's long-term investment in Georgia by the Chinese company Hwyling Group and concludes that these projects are primarily in the Chinese side's interest, not Georgia's.

**The third chapter** of the dissertation is devoted **to the development of an alternative policy of state long-term investment development and support in Georgia.** In the first issue of this chapter, the author supports those scholars (Professor E. Mekvabishvili, Professor T. Shengelia and others) who believe that, even in a market economy, the state must determine the direction of strategic development of the economy, in particular, long-term investment. Politics because it is the basis of the country's economic growth. Moreover, in the author's view, in the face of modern globalization, Georgia should have a multinational long-term investment strategy. In such a situation, Georgia has no strategy of long-term investment, but of general investment. Certain areas of long-term investment - energy, transport and logistics, road infrastructure strategies - are inadequate and need adjustment. There is no strategy for the development of the mining industry. In this regard, the author concludes that there is no significant support and stimulation of long-term investment projects by the state in Georgia.

In the second issue of Chapter Three, **the author presents Georgia's long-term investment development vision**, not in isolation, but in the context of regional relations between the 15 countries of the Black and Caspian Sea. He will look at this issue for the areas of energy, road infrastructure and transport and logistics. To this end, the author proposes the establishment of a Center for Long-Term Investments in the Black Sea and Caspian Region in Georgia, as well as the creation of a special governing body in the Government of Georgia that will actively work with relevant governing bodies in all countries of the region. According to the author, such cooperation will turn Georgia into a center of regional attraction in international investment flows.

In the third issue of thesis thesis, **the future vision of long-term investment support is formulated.** According to the author, the sectoral development of the economy needs to change. Priority should be given to the development of the real sector, in particular the mining and processing industries and not to trade. It is necessary to develop a multinational long-term investment strategy for Georgia, to set up a "long-term strategy for the country" and a national development council. To illustrate his recommendations, the author proposes a new model of the economic wing structure of the Georgian government. It also offers a conceptual blockchain for developing a long-term investment strategy. The dissertation concludes with a summary.

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალურობა.** ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი საქმე, პატარაა იგი, თუ დიდი, ფულად ხარჯს, ანუ ინვესტიციას საჭიროებს. ასეთ დროს ინვესტორი მოგებაზეა ორიენტირებული და რისკის თვალსაზრისით, მისთვის უფრო მოკლევადიანი ინვესტირება არის მისაღები, ვიდრე გრძელვადიანი. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უპირატესად გრძელვადიანი პროექტებით ხორციელდება. ამ პროექტების შედეგები თაობიდან თაობებს გადაეცემა და მათგან მოსული სიკეთით ათეული წლების განმავლობაში სარგებლობენ მომავალი თაობები. ამიტომ არის, რომ ცივილიზებული ქვეყნები ინვესტიციების „ლომის წილს“ გრძელვადიან პროექტებში აბანდებენ და აშენებენ ელექტროსადგურებს, ღრმაწყლიან პორტებს, რკინიგზებს და ავტომაგისტრალებს, ხიდებს, გვირაბებს, შენობებს, ნაგებობებს და სხვას.

საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის სტატისტიკა იმას მოწმობს, რომ ქვეყანაში გრძელვადიანი ინვესტირება წლითი-წლობით მატულობს - იზრდება მისი მოცულობა, რეგიონების და დარგების მხიედვით განაწილება და ა. შ., - მაგრამ არ არის გამოკვლეული როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა ამ სფეროში, საკანონმდებლო სტიმულები სჭარბობს ბარიერებს თუ პირიქით, და, საერთოდ, გარდაქმნის შემდეგ პერიოდში როგორია გრძელვადიანი ინვესტირების შედეგები. ამ თემაზე საქართველოში კვლევა არ განხორციელებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - „საქართველო - 2020“-ს, რომელშიც გრძელვადიანი ინვესტირების სფეროების ნაწილი მოხვედრილია, და, საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის მიერ 2013 წელს დამუშავებულ „საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციას“, რომელშიც, სამწუხაროდ, გრძელვადიან ინვესტირებას მხოლოდ 1,5 გვერდი უკავია. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის გამოკვლევა, დღეს, ნამდვილად აქტუალურია.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანია გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი სტიმულირება და მისი განვითარება

საქართველოში, ობიექტი კი, კონკრეტული გრძელვადიანი სფეროები - ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საგზაო ინფრასტრუქტურა, სამთამადნო მრეწველობა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია გრძელვადიან ინვესტიციების სფეროების (დარგების) განვითარების და სახელმწიფო სტიმულირების ალტერნატიული კონცეფციის შემუშავება, ამოცანები კი:

1. ინვესტიციებზე და ინვესტიციების წყაროებზე სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების გადმოცემა და შეჯერება.

2. ინვესტიციების შიგა და გარე წყაროების ოპტიმიზება.

3. ინვესტირების სახელმწიფოებრივი მართვა-რეგულირების რბილი და მკაცრი მეთოდების დახასიათება.

4. ძირითად კაპიტალში 10 წლიან (2007-2017 წ.წ.) პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი.

5. ძირითად კაპიტალში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ანალიზი დაბანდების სფეროების მიხედვით.

6. საინვესტიციო საქმიანობის მართვა-რეგულირების საკანონმდებლო ბაზის შეფასება.

7. საინვესტიციო საქმიანობის მმართველი ორგანოების (ეროვნული „საინვესტიციო საგენტო“, სსიპ „აწარმოე საქართველოში“, „საპარტნიორო ფონდი“) საქმიანობის შეფასება.

8. ცალკეული გრძელვადიანი პროექტების - „ხუდონჰესი“, ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტი, „ბაქო, თბილისი-ყარსის რკინიგზა“ და სხვათა ექსპრეს-ანალიზი.

9. საქართველოში ჩინური კომპანია „ჰუალინგ-ჯგუფის“ გრძელვადიან ინვესტიციური საქმიანობის გამოკვლევა.

10. გრძელვადიანი ინვესტირების სახელმწიფო სტიმულირების და განვითარების არსებული პოლიტიკის ალტერნატიული კონცეფციის შემუშავება.

**კვლევის შესწავლის მდგომარეობა.** ინვესტიციების პრობლემაზე საქართველოში მრავალი მეცნიერი მუშაობს (პროფესორები ა. სიჭინავა, გ. ცაავა, ე.

ზარათაშვილი, ლ. ქოქიაური, ზ. ლუდუშაური, გ. ურუშაძე, რ. ასათიანი. ვლ. პაპავა. გ. ძნელაძე, ზ. კირკიტაძე, ა. ჩუთლაშვილი, ვ. კაკაბაძე, ბ. ბერუაშვილი და სხვები), მაგრამ არცერთ მათგანს თავის შრომებში გრძელვადიან ინვესტირებაზე არა აქვს გამახვილებული ყურადღება.

**კვლევის ინფორმაციული წყარო, მეთოდი და მეთოდოლოგია.** კვლევისთვის ინფორმაცია აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და „საპარტნიორო ფონდი“-ს საიტებიდან.

კვლევა ჩავატარეთ **დაკვირვების, შედარების, ეკონომიკური და კონტენტ-ანალიზით, ექსპრეს ანალიზით და აგრეთვე მონოგრაფიული კვლევის მეთოდით.**

**დაკვირვების მეთოდი.** ეს მეთოდი გამოყენებულია ნაშრომის პირველ თავში ინვესტიციებზე, საინვესტიციო საქმიანობაზე, საინვესტიციო პოტენციალზე და ინვესტიციების წყაროებზე სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომების გაცნობით, მათ შეხედულებებზე დაკვირვებით და ურთიერთშედარებით. სწორედ ამ დაკვირვებით დავადგინეთ, რომ ამ კატეგორიებზე მეცნიერები სხვადასხვა აზრის არიან, თუმცა, თითოეულ განმარტებაში მოცემულია საერთო ნიშნებიც. სწორედ ამ საერთო ნიშნების მიგნებით ჩამოვაყალიბეთ ზოგიერთი განზოგადოებული განმარტებები. მაგალითად: „ინვესტიცია არის ყველა სახის ფასეულობა, რომელიც დაბანდდება საქმეში მოგების და/ან სოციალური ეფექტის მისაღებად“ (გვ. 29). დაკვირვებით აღმოვაჩინეთ, აგრეთვე, საინვესტიციო პოტენციალის შედგენილობის მიმართ მეცნიერთა ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებებიც (თავი 1, გვ. 32-35). განსაკუთრებით სადაო არის ადამიანისეული კაპიტალი. ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ ადამიანური რესურსი აუცილებლად უნდა შედიოდეს ქვეყნის სიმდიდრეში და აქედან გამომდინარე, ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალში (თავი 1, გვ. 36). დაკვირვებით დავადგინეთ, ისიც, რომ უცხოური ინვესტიციების სტიმულირებას ყველა ქართველი მეცნიერი (თ. შენგელია, ზ. ლუდუშაური, გ. ურუშაძე,

რ. პაპასკირი და სხვები), როდი თვლის პოზიტიურად. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ქვეყანამ ეკონომიკის განვითარების საყრდენად საკუთარი ინვესტიციები უნდა მიიჩნიოს, უცხოურით კი მხოლოდ მისი დეფიციტი დაფაროს (გვ. 42-45).

**ეკონომიკური ანალიზის მეთოდი.** ანალიზის ეს მეთოდი გამოვიყენეთ ნაშრომის მეორე თავში, როცა ეკონომიკურად შევაფასეთ 2007-2017 წლებში ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა და წყაროები. დავადგინეთ, რომ საანალიზო პერიოდში ინვესტიციები 2,5-ჯერ (257,1%) არის გაზრდილი. განსაკუთრებით გაზრდილია ინვესტიციები ვაჭრობაში (459,3%), ჯანდაცვაში (447%) და სასტუმროებსა და რესტორნებში (431,8%) (გვ. 56-62). ანალიზით გამოვარკვიეთ აგრეთვე საქართველოში შემოსული ინვესტიციების დარგებსა და რეგიონებს შორის განაწილება და მოვახდინეთ მისი შეფასება. უარყოფითად შევაფასეთ ის ფაქტი, რომ უცხოური ინვესტიციების 76,5% ქ. თბილისის ობიექტებზე იხარჯება (გვ. 64-66). დავადგინეთ ის ფაქტიც, რომ უცხოური ინვესტიციების წილი საქართველოში 2007-2017 წლების პერიოდში 62,9%-დან 33,7%-მდე არის შემცირებული, ადგილობრივი ინვესტიციების წილი კი გაზრდილი (გვ. 68). ეს მოვლენა ჩვენ დადებითად შევაფასეთ.

**კონტენტ-ანალიზის მეთოდი.** ეს მეთოდი გამოვიყენეთ ინვესტირების სფეროში არსებული საკანონმდებლო დოკუმენტების ურთიერთმედარებისას. ამ ანალიზს მეორენაირად დოკუმენტების ანალიზიც ეწოდება. ხშირად არის შემთხვევა, რომ ერთი და იგივე საკითხზე სხვადასხვა საკანონმდებლო დოკუმენტში ქვეყნის მთავრობის მიდგომა სხვადასხვანაირად ჟღერს. ამიტომ ერთმანეთს შევადარეთ საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ“, „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, კანონი „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“, კანონი „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ და აგრეთვე, მთავრობის დადგენილებები, რომლებიც ეხებოდა საინვესტიციო საქმიანობას საქართველოში. კონტენტ-



ანალიზით აღმოვაჩინეთ საკანონმდებლო დოკუმენტებში მთელი რიგი შეუსაბამობები და ლაფსუსები (თავი 2, გვ. 69-79).

**ექსპრეს-ანალიზის მეთოდი.** ექსპრეს-ანალიზის მეთოდი გამოვიყენეთ საქართველოს ენერგეტიკაში, ტრანსპორტსა, საგზაო ინფრასტრუქტურასა და სამთომოპოვებით მრეწველობაში მიმდინარე (ან სამომავლო) გრძელვადიან პროექტების დასახასიათებლად (თავი 2, გვ. 79-97). მარტო ენერგეტიკაში 114 ელექტროსადგურის მშენებლობაა დაგეგმილი. აქედან 7 გრძელვადიანი პროექტია („ნენსკრა ჰესი“, „ხუდონჰესი“, „შუახევი ჰესი“, „ნამახევჰესი“, „კორთხიბიჰესი“ „კასალეთი ჰესი-2“, „ცხენისწყლის კასკადი“), ტრანსპორტის გრძელვადიან პროექტებად აქტიურად განიხილება ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტი და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ხოლო ინფრასტრუქტურაში, კერძოდ, გზების მშენებლობაში დასრულებულია ანდა მიმდინარეობს 6 გრძელვადიანი გზის მშენებლობა, 8 კი დაგეგმილია ასაშენებლად. სწორედ მათი სიმრავლის გამო, მათზე ჩვენ მხოლოდ ექსპრეს-ანალიზი ანუ მიმოხილვითი ანალიზი ჩავატარეთ (თავი 2, გვ. 79-97).

**მონოგრაფიული კვლევის მეთოდი.** ეს მეთოდი გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთნაირ მოვლენათა სიმრავლეში შეირჩევა საკვანძო მოვლენა, რომელშიც ყველაზე აშკარად გამოიკვეთება ამ მოვლენების დამახასიათებელი საერთო თვისებები. ჩვენს ნაშრომში საკვლევ პრობლემის კუთხით ერთნაირ მოვლენათა სიმრავლეთ უცხოელი ინვესტორები წარმოგვიდგებიან (2017 წელს საქართველოში 61-მა ქვეყანამ განახორციელა ინვესტიცია). ინვესტორთა ამ სიმრავლიდან ჩვენ ავარჩიეთ ჩინეთი, კერძოდ, მისი კომპანია „ჰუალინგ ჯგუფი“ და მის საიტზე არსებული მასალით საქართველოში მისი საქმიანობის სიღრმისეული შესწავლა და მისი მოქმედებათა საზღვრის ჩაწვდომა მოვახერხეთ (თავი 2, გვ. 97-104). ზოგადად ასეთი მიზანი აქვს

„მონოგრაფიულ გამოკვლევას.<sup>1</sup> აღმოჩნდა, რომ „ჰუალინგ-ჯგუფი“ საქართველოში მხოლოდ საკუთარი საქმით და საკუთარი მოგების გაზრდით არის დაკავებული და არა საქართველოს საჭიროებით.

**კვლევის დანიშნულება** არის გრძელვადიანი ინვესტირების სფეროში საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის სრულყოფისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის შედეგი და სიახლე** მდგომარეობს შემდეგში:

1. დადგენილია ეკონომიკის გრძელვადიან სფეროებში ინვესტიციების მ. შ. უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილები.

2. შეფასებულია ინვესტიციების მარეგულირებელ კანონმდებლობა და გაკეთებულია მასზე შენიშვნები.

3. შესწავლილი და კრიტიკულად შეფასებულია საქართველოს ეკონომიკის იმ გრძელვადიანი სფეროების სტრატეგიები, რომლებიც არსებობს (ენერგეტიკა, საგზაო ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა). ამასთან, წარმოდგენილია მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით გრძელვადიანი ინვესტირების სტრატეგიის შემუშავების კონცეფტუალური ბლოკ-სქემა.

4. შემუშავებულია და წარმოდგენილია საქართველოს გრძელვადიანი ინვესტირების სფეროს განვითარების ალტერნატიული მულტინაციონალური კონცეფცია შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების ჩართულობის კონტექსტში.

5. გრძელვადიანი ინვესტირების სწორად განვითარება-სტიმულირებისთვის შემოთავაზებულია საქართველოს მთავრობის ეკონომიკური ფრთის ახლებურად დაპროექტების წინადადება.

---

<sup>1</sup> ამ მეთოდის შესახებ ვრცლად იხილეთ თ. ზურაბიშვილის ნაშრომი - „თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში, თბ., 2006, გვ. 61-70).

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან. ნაშრომის მოცულობა არის 158 ნაბეჭდი გვერდი. ნაშრომს ახლავს 11 ცხრილი, 14 ნახაზი და 80 დასახელების ლიტერატურა.

## **სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი - „საინვესტიციო საქმიანობის თეორიული საფუძვლები“ - სამი ქვეთავისგან შედგება:

1. ქვეყნის საინვესტიციო საქმიანობა და საინვესტიციო პოტენციალი.
2. ინვესტიციების წყაროები.
3. საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივი სტიმულირება და რეგულირება.

პირველ ქვეთავში - ქვეყნის საინვესტიციო საქმიანობა და საინვესტიციო პოტენციალი - განხილულია ინვესტიციის, ინვესტორის და საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიები, ინვესტიციების დაჯგუფება ძირითადი ნიშნების მიხედვით და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ინვესტიციებსაც და საინვესტიციო საქმიანობასაც მეცნიერები (უ. შარპი, ჯ. კეინსი, ლ. ჯ. გიტმანი, ა. სიჭანავა, ლ. ქოქიაური და სხვები) სხვადასხვანაირად განმარტავენ. რადგან ყველა მათგანის განმარტებაში ფიგურირებს ქონება, რომელიც უნდა დაიხარჯოს და ამ დანახარჯიდან მიღებული იქნეს ეკონომიკური ან სოციალური სარგებელი, აქედან გამომდინარე, ჩამოვყალიბეთ ინვესტიციის შემდეგნაირი განმარტება: „ინვესტიცია არის ყველა სახის ქონებრივი ფასეულობა, რომელიც დაბანდდება საქმეში მოგების ან სოციალური სარგებლის მისაღებად“.

ნაშრომში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ქონების ყველანაირი დაბანდება ინვესტირებას არ ნიშნავს. ქონება ინვესტიციად, ხოლო მისი დაბანდება ინვესტირებად ჩაითვლება მაშინ, თუ მას გააჩნია ხარჯვის მიმართულება, შემოსავლის მიღების პოტენციალი, შემოსავლის გარდამეტი დანახარჯზე და დაბანდების ვადა.

ნაშრომში გამოყოფილია ინვესტიციების მაკლასიფიცირებელი ნიშნები, კლასიფიკაციური ჯგუფები და მათ მიხედვით განსაზღვრული და დახასიათებულია ინვესტიციების თითოეული ჯგუფი - რეალური, პორტფელური და ინტელექტუალური ინვესტიციები, საერთო და კერძო ინვესტიციები, მოკლე და გრძელვადიანი ინვესტიციები და ა. შ.

ნაშრომის ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დავუთმეთ საინვესტიციო პოტენციალს. მასზე მსჯელობა ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრის რაკურსში მიმდინარეობს. ნაშრომში აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ეროვნული სიმდიდრე უკანასკნელად 2010 წელს იქნა გამოანგარიშებული. მან 900 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, უფრო ადრეული გაანგარიშებით (1990 წელს), რომელიც გაერომ განახორციელა, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე შეფასებული იყო 827 მლრდ აშშ დოლარად. აღვნიშნეთ ისიც, რომ საქართველოს სტატისტიკის სამსახური ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს არ ანგარიშობს. ვვარაუდობთ, რომ ამის მიზეზი ალბათ არის მეცნიერთა შეუთანხმებლობა იმაში შევიდეს თუ არ შევიდეს ადამიანისეული კაპიტალი ეროვნულ სიმდიდრეში და პირადად ჩვენ მეცნიერების იმ ნაწილს ვუჭეთს მხარს, რომლებსაც ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანური კაპიტალის ჩართვის მომხრენი არიან.

ნაშრომის პირველი თავის მეორე ქვეთავში განხილულია **ინვესტიციების წყაროები**. ტრადიციულად საქართველოში საინვესტიციო საქმიანობა შიგარესურსებით ფინანსდებოდა. დღეს ეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია. წინა პლანზე წამოწეულია უცხოური ინვესტიციები. ამის მიზეზი მხოლოდ ინვესტიციების შიგა წყაროების დეფიციტი კი არ არის, არამედ გლობალიზაცია და მისით წარმოშობილი კაპიტალის მოძრაობის ახალი მსოფლიო წესრიგი. ამჟამად უცხოურ ინვესტიციებს მხოლოდ ღარიბი ქვეყნები კი არ იღებენ, როგორც ეს ადრე იყო, არამედ მდიდარი ქვეყნებიც - აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, გერმანია, იაპონია. აშშ პირდაპირი ინვესტიციების მიმღებ ერთ-ერთ აქტიურ ქვეყნად იქცა.

ჩვენი აზრით, რომ დღეს საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი უდგას თავისი ისტორიის განმავლობაში. სახელმწიფოს ვალმა 20 მლრდ ლარს გადააჭარბა. ქართველების 1/3 გავიდა ქვეყნიდან და სხვა ქვეყნებში დასახლდა. აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ემიგრანტთა ტალღა კი სულ უფრო და უფრო ფართოვდება საქართველოში. ასეთ დროს ვწუხვართ უცხოური ინვესტიციების შემოდინების შემცირებაზე საქართველოში და არავის არ აქვს გათვლილი ან უცხოელი ინვესტორებისგან რა გველოდება ან უცხოელი მიგრანტებისგან. არადა, ქვეყანა ღარიბია, ბიუჯეტი მწირია, დანა-ზოგებიც მცირეა და ქვეყანა ვერ განვითარდება უცხოური კაპიტალის გარეშე. ჩვენ არ ვართ ამ პროცესის წინააღმდეგი, თუმცა ვთვლით, რომ ინვესტორმა თავისი ინტერესი არ უნდა მოახვიოს ქვეყანას. ჩვენი აზრით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მაშინაა მიზანშეწონილი, თუ მისი საბოლოო შედეგი მისაღებია მიმღები ქვეყნისთვის, თუ არა, მაშინ სჯობს შინაგანი რესურსებით დაკმაყოფილება. ჩვენ ამ აზრს ვადასტურებთ ამ საკითხზე სხვა ქართველი მეცნიერების (ე. ბარათაშვილი, დ. ბაიდოშვილი, რ. პაპასკირი, გ. ურუშაძე და სხვები) შეხედულებების მოხმობითაც.

ისეთმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანამ როგორც საქართველოა, თავისი განვითარებისთვის მართალია უნდა მიმართოს ინვესტირების გარე წყაროებს, მაგრამ უნდა აკონტროლოს მათი ხარჯვა, ისინი საქართველოს უზენაესი მიზნის მიღწევას უნდა დაუქვემდებაროს. საქართველომ უნდა გაიზიაროს ევროკავშირის მიერ დაანონსებული ინიციატივა „პოლიტიკურად მოტივირებული“ უცხოელი ინვესტორების შეზღუდვის შესახებ. მხედველობაშია თავდაცვის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და მაღალტექნოლოგიური პროფილის კომპანიების გაყიდვა. ამ რეკომენდაციების გატარება დაიცავს საქართველოს გარე ეკონომიკური ექსპანსიისგან.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავის მესამე ქვეთავი იხილავს - საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფოებრივ რეგულირებას და სტიმულირებას. საქართველო, როგორც ღარიბი ქვეყანა, ინვესტიციურ „შიმშილს“ განიცდის. ამ თვალსაზრისით მას სჭირდება ინვესტორებს შეუქმნას ისეთი

მოტივაციის მექანიზმი, რომ მათ აქ - საქართველოში დააბანდონ ინვესტიცია. მოტივაციის მექანიზმი არის სტიმულირება. სტიმულირებით ხდება ინვესტორის პოზიტიური ქცევის მოტივირებაც და ნეგატიური ქცევის პორფილაქტიკაც. მაგრამ, თანამედროვე მულტინაციონალურ საზოგადოებაში ის მოტივი, რომელიც ერთი ეროვნების ინვესტორისთვის ეფექტიანია, მეორესთვის შეიძლება სრულიად მიუღებელი იყოს. საერთაშორისო დონის მენეჯერები ამას ყურადღებას აქცევენ და მოტივაციის მულტინაციონალურ სტრატეგიებს შეიმუშავენ. საქართველოში ასეთი სტრატეგია არა თუ მულტინაციონალურ დონეზე, არამედ ეროვნულ დონეზეც არ არის შემუშავებული. ეს საქმე საქართველოში კანონს „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“ და ბაზრის „უჩინარ ხელს“ არის მინდობილი. ქვეყანას არა აქვს არც გრძელვადიანი ინვესტირების სტრატეგია და არც მისი მოტივაციის სტრატეგია, რომელშიც მოცემული იქნებოდა ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა, „პოლიტიკურად მოტივირებულ“ უცხოელ ინვესტორებზე სტრატეგიული ობიექტების მიყიდვის აკრძალვა, შიდა დანაზოგების გამორჩეული წახალისება და სხვა.

სახელმწიფოს მთავრობამ არა მხოლოდ უნდა მისცეს ინვესტორებს ზოგადად დანაზოგის ინვესტირების სტიმული, არამედ ინვესტირების ალტერნატივებიც უნდა შესთავაზოს მათ. ეს ალტერნატივები კი საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ პრიორიტეტებთან უნდა იყოს შესაბამისობაში. ფაქტურად კი ხდება ისე, რომ საქართველოში როგორც ინვესტირების პროცესის, ისე ინვესტიციის განთავსების ობიექტების ინიციატორებად გამოდიან ინვესტორები, საქართველოს მთავრობა კი მათ „ნებას აყოლილი“ მხოლოდ შემხვედრ ნაბიჯებს დგამს. ამას არ შეიძლება ინვესტირების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ეწოდოს. ამ მიმართებით სრულიად ვეთანხმებით მეცნიერებს ე. ბარათაშვილს, დ. ბაიდოშვილს და ნ. მაზიაშვილს, რომლებიც წერენ: „საინვესტიციო პოლიტიკა ქვეყნის გარკვეული მიზნების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს. ამის გარეშე საქმე გვაქვს მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვასთან და არა პოლიტიკასთან. მოზიდვა ყველა ინვესტორის შემოსვლას

გულისხმობს, პოლიტიკა კი, გარკვეულ სექტორებში, სადაც პრიორიტეტები განისაზღვრება, იქ დაბანდება“.<sup>2</sup>

ეს მდგომარეობა ინვესტიციების სააგენტოს, როგორც ამ სფეროს სახელმწიფო მარეგულირებელ-მასტიმულირებელი ორგანოს საქმიანობის გააქტიურებით, უნდა გამოსწორდეს, გრძელვადიანი საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებით, საინვესტიციო რუქების შექმნით და მათი მუდმივი განახლებით, სრულყოფილი საინვესტიციო საპრომოუშენო პაკეტის მომზადებით და მრავალი სხვა ღონისძიებების გატარებით. ამის მოთავეც და შემსრულებელიც, უნდა იყოს საქართველოს მთავრობა.

**სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი - საქართველოში გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასება - ოთხი ქვეთავისგან შედგება.**

პირველ ქვეთავში - საქართველოს ძირითად კაპიტალში ინვესტირების ანალიზი არის ჩატარებული. ჩვენს მიერ გაანალიზებული და შეფასებულია ინვესტიციების სტანდარტული მაჩვენებლები - მოცულობა, სტრუქტურა, დინამიკა. 2007-2017 წლებში ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა 2,5-ჯერ არის გაზრდილი, ამასთან მთლიან ინვესტიციებში 71,6% დაიკავა არაფინანსურ, ანუ რეალურ სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა. ერთი და მეორეც ნაშრომში დადებითად არის შეფასებული.

საქართველოს ძირითად კაპიტალში უცხოური ინვესტიციების წილი 2007 წლის 62,9%-დან 2017 წელს 33,7%-მდე არის შემცირებული. ზოგადად ინვესტიციების საერთო მოცულობის ზრდის ფონზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში შიდა ინვესტიციების მოცულობა არის გაზრდილი. ეს მდგომარეობა იძლევა იმის იმედსაც და გარკვეულ გარანტიასაც, რომ ადგილობრივი ინვესტორები საკუთარი ქვეყნის კარგი მომავლის უზრუნველსაყოფად გაბედულად დააბანდებენ კაპიტალს გრძელვადიან პროექტებში, რისი ინტერესიც არ აქვთ უცხოელ ინვესტორებს.

---

<sup>2</sup> *ბარათაშვილი ე., ბაიდოშვილი დ., მაზიაშვილი ნ. საინვესტიციო პოლიტიკის უპირატესობები და ნაკლოვანებები საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა“, #10-12, 2010, გვ. 19.*

მეორე ქვეთავში განხილულია საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის მართვა-რეგულირების საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ, ნაშრომში გადმოვეცით ოთხი კანონის მოკლე შინაარსი და შევაფასეთ თითოეული მათგანი. ეს კანონებია: საქართველოს კანონი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“; საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ“; საქართველოს კანონი „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“; საქართველოს კანონი „საპარტნიორო ფონდის შესახებ“.

„ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მისამართით გავაკეთეთ გაკეთებულია ის შენიშვნები, რომ მასში არ ჩანს მთელი რიგი ფუნქციები, რომელთა შესრულება ამ სააგენტოს უნდა ევალებოდეს. ეს ფუნქციებია: საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის გამოანგარიშება; უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციების თანაფარდობის დაკანონება; გრძელვადიან ინვესტირებისთვის ქმედითი წამახალისებელი მექანიზმის შექმნა; საქართველოს ინვესტიციური უსაფრთხოებისთვის მყარი გარანტიების შექმნა.

რაც შეეხება საქართველოს კანონს „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ“, ამ კანონის მიმართ ჩვენი კომენტარები ასეთია:

**პირველი:** ამ კანონის მე-6 მუხლით ირკვევა, რომ ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი. ეს თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ საქართველოში საინვესტიციო ცენტრიც არსებობს და საინვესტიციო სააგენტოც. სასურველია კანონში მათი ფუნქციები იყოს გამიჯნული.

**მეორე:** ამ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი გვამცნობს, რომ „არ შეიძლება დაუწესდეს უცხოურ საწარმოს ხელმძღვანელ ორგანოებში სავალდებულოდ ასარჩევ (ან დასანიშნ) საქართველოს მოქალაქეთა აუცილებელი მინიმალური რიცხვი“. საქართველოში არსებულ უმუშევრობის მაღალი დონიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლით საქართველოს კანონი მათ



უწესებდეთ რიგით სპეციალისტების (მუშების და მოსამსახურეების) მინიმალურ ლიმიტს მაინც.

**მესამე:** ამ კანონის მე-13 მუხლი გვამცნობს, რომ „უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობით აიღეს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ „უცხოური ინვესტიციის შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. ასეთ პირობებში საქართველოს ნავთობ-გაზომ-პოვებელ რეგიონებში 90-იანი წლებიდან ლიცენზიით მომუშავე უცხოური კომპანიები დღესაც სარგებლობენ მაშინდელი შეღავათიანი 10%-იანი მოგების გადასახადით. ამ მიმართებით მოცემული კანონი დაზუსტებას მოითხოვს. შესაბამისი ჩასწორება უნდა მოხდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსშიც, რომელშიც, ეხლაც ეს შეღავათია დაფიქსირებული.

ინვესტირების მარეგულირებელი მესამე კანონი - „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“ მიღებული იქნა 2006 წელს. მას შემდეგ იგი 7-ჯერ ჩასწორდა. ამის მიუხედავად, ჩასწორებას მოითხოვს მისი პირველი მუხლის მეორე პუნქტი და მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი. ამ კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტში საუბარია იმ დამატებით ხელშემწყობ ღონისძიებებზე (დანორმებზე), რომლებიც დგინდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წასახალისებლად. ასეთ დროს მთელ ამ კანონში ასეთი წამახალისებელი ღონისძიებები არ ჩანს. ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსმინიჭებულ ინვესტორს თუ მან მთლიანად დაიცვა და შეასრულა ხელშეკრულების პირობები უკან უბრუნდება მის მიერ წინასწარ გადახდილ 2%-იანი საგარანტიო თანხა, ხოლო თუ არ შეასრულა, მაშინ ის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება. ჩვენი აზრით, საჭიროა კანონის ამ მუხლს დაემატოს ინვესტორის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების პირობებში რა მოუვა მის მიერ დეპონირებულ 2%-იან საგარანტიო თანხას.

რაც შეეხება საქართველოს კანონს „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ არც ის აღმოჩნდა უნაკლო. ამ კანონის მე-9 მუხლის მიხედვით დასახელებული ფონდი მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული: ჩვენი აზრით, ეს მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ იგი კერძო სექტორიდან თანადაფინანსებით არ ხორციელდება, სხვა შემთხვევაში, საპარტნიორო ფონდი კერძო ინვესტორის (ინვესტორების) წინაშეც უნდა იყოს ანგარიშვალდებული. ამ კანონში არსებული ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავის მესამე ქვეთავში - საქართველოს ცალკეული გრძელვადიანი ინვესტიციური პროექტების ექსპრეს-ანალიზია ჩატარებული. ამ პროექტების ღირებულება რამდენიმე ათეული მილიონი დოლარით იზომება, ხოლო დამთავრების შემდეგ ექსპლოატაციის ვადა 50 და მეტი წლით: ასეთ პროექტებში მოხვდნენ:

- სავაჭრო კომპლექსი „ისთ ფონთი“ – 90 მლნ დოლარი;
- სასტუმრო „მერკური“ – 16 მლნ დოლარი;
- გასართობი ცენტრი „ჯინო ფერედაისი“ – 28 მლნ დოლარი;
- საცხოვრებელი კომპლექსი „მწვანე ბუდაპეშტი“ – 45 მლნ დოლარი;
- საცხოვრებელი კომპლექსი „დირსი“ – 170 მლნ დოლარი;
- სავაჭრო ცენტრი - „თბილისი მოლი“ – 115 მლნ დოლარი;
- დასასვენებელი კომპლექსი „რიქსოს ბორჯომი“ – 48 მლნ დოლარი;
- „ნენსკრა ჰესი“ – 1 მლრდ დოლარი;
- „ხუდონ ჰესი“ – 776,7 მლნ დოლარი;
- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი - 2,5 მლრდ დოლარი;
- ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი - 200 მლნ დოლარი (საქართველოს მონაკვეთისთვის) და სხვები.

ჩვენს მიერ ჩატარებული მსხვილი პროექტების ექსპრეს-ანალიზის მიზანი იყო გვეჩვენებინა ის გრანდიოზული მშენებლობები, რომლებიც განხორციელდა, ხორციელდება ანდა განზრახულია რომ განხორციელდეს მომავალში საქართველოში.

ცალკე გამოვიკვლიოთ საქართველოს ერთ-ერთი ინვესტორის-ჩინური კომპანია „ჰუალინგ-ჯგუფის“ საქმიანობა საქართველოში და მას მივუძღვნით ნაშრომის მეორე თავის მეოთხე ქვეთავი. ამ ინვესტორის გამორჩეულად ცალკე შესწავლის საფუძველი მოგვცა ამერიკელი მეცნიერ მილტონ ფრიდმანის გაფრთხილებამ: „უცხოელებს ინვესტირებაში მიეცათ სრული თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს თქვენი ქვეყნის ინტერესებშია“. რიგი ინვესტორების არაკეთილსინდისიერებაზე ხშირად წერს ქართველი მეცნიერი ვლ. პაპავაც.

ჩინურ კომპანია „ჰუალინგ ჯგუფმა“ საქართველოში საქმიანობა 2007 წელს დაიწყო და თბილისსა და ქუთაისში მრავალი გრძელვადიანი ინვესტიციურ პროექტი განახორციელა. მან იყიდა თბილისის ზღვის მიმდებარე 420 ჰექტარი მიწა და გააშენა თბილისის ზღვის ახალი ქალაქი, თბილისის ზღვის პლაზა, ახალგაზრდული ოლიმპიური სოფელი და სხვა. ქუთაისში განათავსა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, შეიძინა სამშენებლო ქვის და ხე-ტყის დამზადების 20 წლიანი ლიცენზიები, ააშენა სასტუმრო და მრავალი სხვა.

კომპანია „ჰუალინგ-ჯგუფის“ საქმიანობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებებზე დაკვირვებით, ჩვენ დავინახეთ, რომ ეს კომპანია საქართველოში მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ახორციელებს. მართო ის ფაქტი, რომ საქართველოში მოჭრილი ხის მასალით იგი ავეჯს ამზადებს და გააქვს საზღვარგარეთ ნულოვანი საექსპორტო გადასახადით, იმას მოწმობს, რომ ამ საქმეში მისი სტრატეგია საკუთარ მოგების გაზრდას „უდგას მსახურად“ დღესაც და მომავალშიც.

კომპანია „ჰუალინგ ჯგუფის“ ინვესტიციურ საქმიანობაზე დაკვირვებით ნაშრომში გავაკეთეთ განზოგადოებული დასკვნა იმის შესახებ, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოში ინვესტიციებს ახორციელებენ არა იმიტომ, რომ ჩვენ დაგვებმარონ, არამედ იმიტომ, რომ თავის თავს დაეხმარონ. ისინი სარგებლობენ იმით, რომ საინვესტიციო სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაც, ცოდნაც და კომპეტენციაც დაბალია, ჩვენ არა

გვაქვს შემუშავებული გრძელვადიანი საინვესტიციო სფეროების - ენერჯეტიკის, სამთამადნო მრეწველობის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის და საგზაო ინფრასტრუქტურის - განვითარების სტანდარტული სტრატეგიებიც კი, რომლებიც გზამკვლევად გამოგვადგებოდა ასეთ ურთიერთობებში. ამ ფაქტორის შედეგად სახეზეა - ვყიდით მიწას, ტყეებს, წიაღისეულის საბადოებს. აქედან ჩვენი შემოსავალი ერთჯერადია - გასაყიდი ფასით მიღებული, უცხოელი ინვესტორების კი - გრძელვადიანი.

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები - ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სხვები, ჩვენზე გონიერნი აღმოჩნდნენ. ისინი უცხოელ ინვესტორებზე კი არ ყიდნიან ბუნებრივ სიმდიდრეებს, არამედ მათთან ერთად ხსნიან ერთობლივ საწარმოებს და თანაბარი წილებით მუშაობენ. რა თქმა უნდა, ასეთი რანგის გარიგებებზე უცხოელი ინვესტორების დათანხმება ადვილი არ იქნება. ამას დიდი დრო და დიდი დიპლომატია სჭირდება. ჩვენ კი ვჩქარობთ, და, მივიღებთ რა მათგან რაღაც თანხას, თავს ვიწონებთ სტატისტიკით. ამ ქვეყნის შეფასებაც ძნელია - ან მართლა არ ვიცით, რას ნიშნავს სახელმწიფოს გრძელვადიანი ინვესტიციური სტრატეგია, ანდა ვიცით, მაგრამ მაინც ისე ვიქცევით, როგორც არ უნდა ვიქცეოდეთ. ორივე ლალატის ტოლფასია, რადგან ჩვენ, ჩვენს მომავალ თაობებს ქონებას კი არ ვუათკეცებთ, არამედ, იმასაც ვაკარგვინებთ, რაც ოდითგანვე ბუნებამ უბოძათ მათ.

**სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავი - საქართველოში გრძელვადიანი ინვესტიციების განვითარების და სახელმწიფოებრივი სტიმულირების ალტერნატიული კონცეფციის შემუშავება - სამ ქვეთავად არის დაშლილი.**

პირველ ქვეთავში - ქვეყანაში გრძელვადიანი ინვესტიციების მხარდაჭერაზე გვაქვს საუბარი. დასაბუთებული გვაქვს იმის აუცილებლობა, რომ ქვეყნის მთავრობას ეკონომიკის გრძელვადიანი სფეროები პრიორიტეტებად უნდა ჰქონდეს დაყოფილი და თითოეულ მათგანზე მათი განვითარების სტრატეგიები დამუშავებული. თანაც, ეს სტრატეგიები უნდა იყოს ევროსტანდარტების მოთხოვნებით დაწერილი. დღეის მდგომარეობით საქართველოში არსებობს საგზაო ინფრასტრუქტურის, ენერჯეტიკის და ტრანსპორტის

(ლოჯისტიკის ჩათვლით) განვითარების სტრატეგიებს რაღაცა მონახაზები, მაგრამ არცერთი მათგანი ევროსტანდარტების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. მათში არც სტრატეგიული მიზანი ჩანს, არც ფინანსური მიზანი და არც საჭირო ინვესტიციის ხარჯთ-უკუგების მაჩვენებელია დაანგარიშებული. არადა, იმ ფუნქციონალურ-ლოგიკურ სქემაში, რომელსაც ევროსტანდარტი ითვალისწინებს და რომლითაც გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის დამუშავება უნდა მოხდეს, სამი მდგენელი უკავშირდება ინვესტიციებს, ესენია: 1. დარგის განვითარების ინვესტიციური პროგრამის (პორტფელის) ფორმირება; 2. დარგის ინვესტიციური პროექტების ეფექტიანობის შეფასება და ამ მაჩვენებლით პროექტების რანჟირება; 3. დარგის ინვესტიციური პროგრამის (პორტფელის) რეალიზაციის ეფექტური ორგანიზაციულ-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა. ზემოთდასახელებულ სტრატეგიებში არც ერთი ეს საკითხი არ არის გაშუქებული. უარეს მდგომარეობაშია საქართველოს სამთო-მოპოვებითი მრეწველობა. მისი განვითარების სტრატეგია საერთოდ არ არსებობს. წიაღისეულის მოპოვებიდან ის, რაც ასე თუ ისე განვითარებულია (ჭიათურის მარგანეცი, მადნეულის ოქრო, ნავთობმოპოვება და სხვა), იმიტომ განვითარდა, რომ უცხოელი ინვესტორების ინტერესების სფეროში მოექცა, სხვა დანარჩენი სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მტკნარი და თერმული წყლების დიდი მარაგი, რომლის პროექტი ინვესტიციების ხარჯთ-უკუგების მაჩვენებლის ჩათვლით მთლიანად დამუშავებულია, მაგრამ გაუცნობიერებული მიზეზებით მისი ამუშავება დაბლოკილია.<sup>3</sup> ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროდ მივიჩნევთ შეიქმნას უწყებათაშორისო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამ საკითხის გამოკვლევაზე.

ნაშრომის მესამე თავის მეორე ქვეთავში შეფასებულია საქართველოს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციის მიხედვით. ეს კონცეფცია შეიმუშავა საქართველოს

---

<sup>3</sup> გიორგაძე პ. საქართველოს ეკონომიკის დასაქმებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4, 2018, გვ. 7-25.

ბიზნეს-ასოციაციამ 2013 წელს. იგი ზოგადია და მასში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი (გვ. 39-40) საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი დაბანდების სფეროებს (ენერგეტიკას, ტრანსპორტს და სხვას). ეს დოკუმენტი საქართველოს იხილავს შავი და კასპიის ზღვის აუზის 13 ქვეყნის ცენტრად და აკისრებს ამ რეგიონში მიზიდულობის ცენტრის ფუნქციის შესრულებას. ჩვენ ვეთანხმებით ამ კონცეფციას და მიგვაჩნია, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში ვერცერთი ქვეყანა იზოლირებულად ვერ განვითარდება. ეს ხედვა არის ჩადებული ამ კონცეფციაში და ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი არის სწორი.


კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეს ინიციატივა ჩვენს სადისერტაციო თემასთან მიმართებაში, რადგან ჩვენს მიერ გამოკვლეული ოთხი დარგიდან სამ დარგში - ენერგეტიკაში (კერძოდ ჰესები), ტრანსპორტსა და ლოჯისტიკაში და საგზაო ინფრასტრუქტურაში - კავკასიის რეგიონში კავშირების გაფართოების პროცესი უკვე დაწყებულია. ამიტომ საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის ამ ინიციატივას მივიჩნევთ მისაღებად, იმ შესწორებით, რომ შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების მათ ჩამონათვალს დაემატოს ტაჯიკეთი და უზბეკეთიც. ამის გარდა, საჭიროდ ვთვლით მსხვილი პროექტების ამ ფორმატში შესასრულებლად საქართველოს მთავრობაში იარსებოს სპეციალურმა მმართველმა სტრუქტურამ, რომელიც უხელმძღვანელებს ამ საქმიანობას. საკუთრივ საქართველოს ბიზნეს-ასოციაციას თავის კონცეფციაში წამოყენებული ინიციატივის მართვა-რეგულირების საკითხი არ აქვს ჩართული.

მესამე ქვეთავში - საქართველოში გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის განვითარების და სტიმულირების ჩვენეული ხედვა გვაქვს წარმოდგენილი. ნაშრომის ამ ქვეთავში საუბარი გვაქვს იმაზე, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზით დადგენილი ეკონომიკის მოკლევადიანი ინვესტირების დარგების - ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ტურიზმი და სხვა - უპირატესი განვითარება მოწმობს იმას, რომ ქვეყნის მთავრობა უფრო მოკლევადიან ინვესტირებას უწყობს ხელს, ვიდრე გრძელვადიანს. ეს პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეიცვალოს, რადგან ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს

გრძელვადიანი ინვესტირება ქმნის და ეკონომიკასაც ის აწვითარებს. საქართველოს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ გრძელვადიანი ინვესტირების ცალკეული დარგების - ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის, საგზაო ინფრასტრუქტურის და სამთამადნო მრეწველობის - განვითარების ევროსტანდარტებით შედგენილი სტრატეგიები, არამედ მათი შემაჯამებელი სტრატეგიაც, რომელშიც ეს დარგები პრიორიტეტებად დალაგდებიან და ქვეყანაში არსებული შეზღუდული მოცულობის ინვესტიციები მათ სწორედ პრიორიტეტების მიხედვით გადაუნაწილდებათ. გაუნაწილდებათ. მაშასადამე, ისე როგორც სხვა ქვეყნებში მოხდა, საქართველოშიც უნდა მოხდეს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ანუ გრძელვადიანი დარგებიდან პრიორიტეტების შერჩევა და მხოლოდ შემდეგ მათი განვითარების და სახელმწიფოებრივი სტიმულირების სტრატეგიების შემუშავება.

ენერჯეტიკის (კერძოდ, ჰიდროელექტროენერჯეტიკის), საგზაო ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის სტრატეგიები უნდა იყოს მულტინაციონალური ანუ ისინი შავი და კასპიის ზღვის აუზის 15 ქვეყნის ჩართულობით უნდა დამუშავდეს, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის კი - მხოლოდ საქვეყნო, ანუ ეროვნული.

ნაშრომში შემოთავაზებული გვაქვს გრძელვადიანი ინვესტირების დარგების (სექტორების) განვითარების როგორც მულტინაციონალური, ისე ეროვნული სტრატეგიების დამუშავების კონცეპტუალური ბლოკ-სქემა (იხ. ნახაზი 1). იგი ევროპულ სტანდარტებს და უცხოეთის წარმატებულ პრაქტიკას ეფუძნება.



ნახაზი 1. გრძელვადიანი ინვესტირების დარგების და სექტორების მულტინაციონალური სტრატეგიის შემუშავების ბლოკ-სქემა

გარდა აღნიშნული ბლოკ-სქემისა, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ სათანადო ორგანოებს ეკონომიკის გრძელვადიანი დარგების განვითარების სტრატეგიების დასამუშავებლად, ნაშრომში ასევე შემოთავაზებული გვაქვს აღნიშნული სტრატეგიების უკეთ სამართავად საქართველოს მთავრობის ეკონომიკური ფრთის ახლებურად გადაწყობის ჩვენეული ხედვა. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობაში უნდა არსებობდეს გრძელვადიანი ინვესტიციების სააგენტოც, გრძელვადიანი ინვესტირების განვითარების სტრატეგიის აღმა-



სრულეხელი საბჭოც და შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების კომპლექსური განვითარების ცენტრიც. ეს უკანასკნელი ენერგეტიკის, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის მულტინაციონალური სტრატეგიების შემუშავებით და აღსრულებით იქნება დაკავებული საქართველოში.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევით ვაკეთებთ შემდეგ შემაჯამებელ დასკვნებს:

1. არ არსებობს ინვესტიციების ერთიანი განმარტება და დასაზუსტებელია ინვესტირების ნიშნები. ინვესტიციის ყველაზე სრულყოფილი განმარტება ასე ჟღერს: „ინვესტიცია არის ყველა სახის ფასეულობა, რომელიც დაბანდდება საქმეში მოგების და/ან სოციალური ეფექტის მისაღებად“.

2. საქართველოში ოფიციალურ დონეზე არ იანგარიშება საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი, არც მიმდინარე და საბაზო საინვესტიციო პოტენციალის მკაფიო გამიჯვნა არსებობს.

3. ღარიბი ქვეყნები, რომელთა შორისაა საქართველო, ინვესტიციურ შიმშილს განიცდიან. მათი განვითარების მნიშვნელოვანი წყარო ამ ეტაპზე უცხოური ინვესტიციებია. მაგრამ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მაშინაა მიზანშეწონილი, თუ მისი საბოლოო შედეგი მისაღებია მიმღები (რეციპიენტი) ქვეყნისთვის, თუ არა და სჯობს იგი შინაგანი რესურსებით დაკმაყოფილდეს. საქართველოს ეკონომიკის იმ სფეროებში, რომლებიც ქმნიან იმპორტშემცვლელ პროდუქციას და ახალ სამუშაო ადგილებს, უცხოური ინვესტიციების მიზერული თანხები იხარჯება (2007-2017 წლებში საშუალოდ - სოფლის მეურნეობაში - 1,3%, გადამამუშავებელ მრეწველობაში - 11,6%), დანარჩენ დარგებში კი - მეტი.

4. ქართველი მეცნიერები (ზ. ლუდუშაური, ე. ბარათაშვილი, დ. ბაიდოშვილი, ნ. შენგელია, ბ. ბერუაშვილი, რ. პაპასკირი და სხვები) ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველოს შემუშავებული აქვს უცხოური ინვესტიციების

მოზიდვის კარგი პოლიტიკა, მაგრამ არა აქვს მისი გამოყენების ისეთი პოლიტიკა, რომელშიც ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტები იქნებოდა გამოკვეთილი. სწორედ ამიტომ, უცხოელი ინვესტორები თვითონ ირჩევენ ინვესტირების ობიექტებს და სამწუხაროდ, ეს ობიექტები ძირითადად უძრავი ქონების ობიექტებია.

5. ამ უკანასკნელ წლებში მეცნიერებმა დაინახეს გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის მულტიეროვნული (მრავალეროვნული) დონეზე დამუშავების საჭიროება. ასეთ დროს საქართველოში არა თუ მულტიეროვნული, არამედ, მისი ერთიანი საქვეყნო (ეროვნული) სტრატეგიაც არ არის მისაღებ დონეზე დამუშავებული. ეს ვითარება გვარწმუნებს, რომ საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში ბაზრის „უჩინარ ხელს“ არის მინდობილი, რაც არ არის სწორი.

6. გრძელვადიანი ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ჩადებული ინვესტიციებია. 2007-2017 წლებში მათი მოცულობა საქართველოში გაიზარდა 2,5-ჯერ. კარგია, რომ მისი 71,6% არაფინანსურ სექტორშია (მშენებლობა, მრეწველობა და ა. შ.) დაბანდებული, რადგან აქ იქმნება პროდუქცია.

7. 2007-2017 წლებში საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციები 8,1%-ით გაიზარდა. ძირითად კაპიტალში 2017 წელს განხორციელებულ ინვესტიციებში (11238,3 მლნ ლარი) ლარში გადაყვანით უცხოურ ინვესტიციებს ეკავათ - 33,7%, ანუ 2007 წელთან შედარებით მთელი 29,2%-ით ნაკლები.

8. ადგილობრივი ინვესტიციების (შიდა დანაზოგების) ზრდის ფონზე უცხოურ ინვესტიციების შემცირებას, არ ვაფასებთ უარყოფითად, რადგან უცხოელ ინვესტორებს საქართველოს მომავლის ნდობა არა აქვთ, ისინი თავს არიდებენ გრძელვადიან ინვესტირებას და ძირითად შემთხვევაში ორიენტირებულნი არიან ან მიწების შესყიდვაზე, ანდა მოკლევადიან ინვესტირებაზე. საქართველო კი ვერ განვითარდება გრძელვადიანი ინვესტირების გარეშე.

9. გრძელვადიანი ინვესტირების მართვა-რეგულირების საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ჯერ-ჯერობით არა თუ ჰარმონიზებული არ არის ევროკავშირის შესაბამის ბაზასთან, არამედ თვით მის შიგნით შემავალი სხვადასხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ხშირ შემთხვევაში, არ არიან შესაბამისობაში. მაგალითად, საქართველოს კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ ჩამოთვლილია ამ სააგენტოს ფუნქციები, საიდანაც მისი უპირველესი ფუნქცია არის ინვესტორთა მომსახურება, ასეთივე ფუნქცია აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საინვესტიციო ცენტრს. მაშასადამე, ამ ორი სამსახურის მუშაობაში პარალელიზმს აქვს ადგილი. ანდა, „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ თუ ინვესტორმა ვერ შეასრულა ხელშეკრულება, მის მიერ გადახდილი 2%-იანი საგარანტიო თანხა, ბიუჯეტში ჩაირიცხება. კანონში არ არის ნათქვამი თუ ნაწილობრივ შეასრულა, მაშინ, რა მოხდება და ა. შ. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

10. საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც, გრძელვადიანი ინვესტირების სფეროები უპირატესად ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, სამთამადნო მრეწველობა და საგზაო ინფრასტრუქტურაა. ჩამოთვლილთაგან საქართველოში მეტ-ნაკლებად ყველა გრძელვადიანი ინვესტირების სფერო ვითარდება, გარდა სამთამადნო მრეწველობისა. ამ დარგის განვითარების საკითხში დარგის სპეციალისტები და გარემოს დაცვის სპეციალისტები ვერ თანხმდებიან. პირველნი ასაბუთებენ, რომ ქვეყანას აქვს საკმარისი წიაღისეული და იგი უნდა ჩაირთოს ქვეყნის განვითარებაში, მეორენი კი წიაღისეულის მოპოვების საწინააღმდეგოდ ბუნებრივი გარემოს განადგურების საშიშროებას ასახელებენ.

11. საქართველოს გრძელვადიანი საინვესტიციო სფეროს ობიექტების ექსპრეს-ანალიზმა აჩვენა, რომ მარტო ელექტროენერგეტიკაში 114 ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა. მათი ამოქმედებისთვის საჭიროა 6,4 მლრდ აშშ დოლარი. აქედან ყველაზე უმსხვილესი

ჰესებია „ნენსკრა ჰესი“, „ხუდონ ჰესი“, „შუახევი ჰესი“, „ნამახვან ჰესი“. ტრანსპორტის სფეროდან აქტიურად განიხილება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი, თბილისის და ქუთაისის ლოჯისტიკური ცენტრები, ფოთის მეგა-პორტის მშენებლობა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოფრენის ტერმინალის მშენებლობა და სხვები. საგზაო ინფრასტრუქტურებიდან შესრულებული და დახურულია ექვსი გრძელვადიანი პროექტი (ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზა, სამტრედია-გრიგოლეთის გზა და სხვები), ხოლო იგეგმება ასევე, ექვსი გრძელვადიანი საგზაო მშენებლობა (წნორი-ლაგოდეხი, გრიგოლეთი-ფოთის ავტომაგისტრალი, სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზა და სხვები), რაც შეეხება სამთამადნო მრეწველობას, როგორც გრძელვადიანი ინვესტირების სფეროს, იგი ქვეყანაში ფაქტიურად უყურადღებოდ არის მიტოვებული.

12. საქართველოს გრძელვადიანი ინვესტირების არცერთ სფეროზე არ არის შემუშავებული ინვესტირების სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიები. საქართველოს აქვს როგორც მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო - 2020“, ისე ნაწილობრივ დარგობრივი სტრატეგიებიც (მაგალითად, ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის, ნაწილობრივ საგზაო ინფრასტრუქტურის), მაგრამ ისინი ინვესტიციების შესახებ იმ მინიმალურ ინფორმაციასაც არ შეიცავენ, რაც ევროსტანდარტებით ასეთი ტიპის სტრატეგიებს უნდა გააჩნდეს. სახელმწიფოდან სტიმულირებაზე და გრძელვადიან პერიოდში ინვესტიციური დანახარჯის დისკონტირებული ამონაგების ანგარიშზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

13. უცხოელი ინვესტორის „ჰუალინგ-ჯგუფის“ (ჩინური კომპანია) საქართველოში განხორციელებულ საქმიანობაზე ჩატარებულ კვლევამ გვიჩვენა, რომ ინვესტორი მუშაობს მხოლოდ საკუთარი მოგების გაზრდაზე და სხვადასხვა დიპლომატიური გზებით ის თავს არიდებს საქართველოს ინტერესებს. ეს კერძო შემთხვევა დამახასიათებელია განვითარებად ქვეყნებში შემოსული ყველა ინვესტორისთვის. ამას ისინი გარკვეული მანიპულაციებით (უპირველესად ქრთამებით) ახერხებენ.

გრძელვადიანი ინვესტიორების სფეროში ჩვენს მიერ მიგნებულ ხარვეზების გამოსასწორებლად, ვიდრე ვით შემდეგ რეკომენდაციებს.

1. ქვეყანაში უნდა არსებობდეს კანონი გრძელვადიანი ინვესტირების შესახებ, რომლის გაცნობით საზოგადოებისთვის ნათელი გახდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის გრძელვადიანი ინვესტირების მნიშვნელობა. ეს კანონი ჰარმონიზაციაში უნდა იყოს არა მხოლოდ ევროკავშირის შესაბამის კანონთან, არამედ, შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზასთანაც, რათა სურვილის შემთხვევაში მათგან საქართველოში შემოსულ ინვესტიორებს ბარიერები არ დახვდეთ საკანონმდებლო დონეზე.

2. საქართველოს სამთავრობო ორგანომ საჭიროა შეიმუშაოს „გრძელვადიანი ინვესტირების განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ ერთიანი სტრატეგია, რომელშიც ნათლად იქნება ნაჩვენები ეკონომიკის გრძელვადიანი სფეროები, საინვესტიციო ობიექტების რუქები, უცხოურ და შიდა ინვესტიციების ლიმიტები, საქმიანობის პირობები, სახელმწიფო მხარდაჭერა და სხვა. ეს სტრატეგია მულტინაციონალურ დონეზე, მოცემულ შემთხვევაში, შავი და კასპიის ზღვის აუზის რეგიონის 15 ქვეყნის დონეზე, უნდა შემუშავდეს.

3. გრძელვადიანი ინვესტირების სფეროდ მიჩნეული დარგების - ენერჯეტიკა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საგზაო ინფრასტრუქტურა, სამთამადნო მრეწველობა - განვითარების არსებული სტრატეგიები არასრულყოფილია ინვესტიციური დანახარჯების და ამონაგების, და, აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის კუთხით. მათში ეკონომიკურ საკითხებზე ანუ გრძელვადიანი ინვესტირების შედეგებზე მსჯელობა საერთოდ არ არის. არადა სტრატეგიას ორი მიზანი აქვს - ერთი მიზანია სტრატეგიული მიზანი, ანუ რა დონეზე უნდა განვითარდეს დარგი, მეორე კი, ფინანსური მიზანი, ანუ რა ფინანსურ სარგებელს მიიღებს ქვეყანა იქიდან.

ზემოთდასახელებული სტრატეგიები ამ მეორე მიზნის არგუმენტირებულ დასაბუთებას საჭიროებენ.

4. საქართველოში არსებობს კანონი „წიაღისეულის შესახებ“, მაგრამ არ არსებობს სამთამადნო მრეწველობის განვითარების სტრატეგია. მეცნიერთა ერთი ნაწილი მოითხოვს ამ დარგის შესაძლებლობათა ამუშავებას, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, განსაკუთრებით მტკნარი და თერმული წყლების კუთხით, რომლის პროექტი დამუშავებულია და რომელიც საქართველოს ბიუჯეტს დიდძალ შემოსავალს პირდება. ქართველი მეცნიერები - გეოლოგები, ეკონომისტები, გარემოს დამცველები და სხვები, საბოლოოდ უნდა შეთანხმდნენ იმაზე, სჭირდება თუ არა საქართველოს ამ დარგის განვითარება.

5. რადგან, როგორც საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიაში (2016-2025 წლების), ისე ტრანსპორტის და ლოჯისტიკის სტრატეგიაში დაფიქსირებულია კავკასიის ქვეყნებში რეგიონული თანამშრომლობის განვითარება (ენერგეტიკაში - რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ურთიერთობით საფუძველი ჩაეყარა „ჩრდილოეთ-სამხრეთის ელექტროენერგეტიკულ დერეფნის“ განვითარებას), მხარს ვუჭერთ „საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის“ მოსაზრებას, რომ საქართველო შავი და კასპიის ზღვის აუზის 13 ქვეყანაში იქცეს ენერგეტიკულ, საგზაო ინფრასტრუქტურის და ტრანსპორტის და ლოჯისტიკის პროექტების მიზიდულობის ცენტრად. ამასთან, უპირველესად მიგვაჩნია, რომ ამ 13 ქვეყანას დაემატოს ტაჯიკეთი და ყირგიზეთიც, რადგან მათთანაც არანაკლები ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს და მეორეც, ამ 15 ქვეყნიდან ენერგეტიკული ურთიერთობა უკვე არის და მომავალშიც სასურველია იყოს კავკასიის ოთხ ქვეყანასთან (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი), ხოლო ტრანსპორტსა, ლოჯისტიკასა და საგზაო მშენებლობაში ყველა 15-ვე ქვეყანასთან.

6. გრძელვადიანი ინვესტირების ამ სფეროებში საქართველოს მიზიდულების ცენტრად გადაქცევის ღონისძიებათა აღსრულებისთვის საქართველოს მთავრობაში უნდა შეიქმნას სპეციალური სტრუქტურა (პირობითად შეიძლება მას ვუწოდოთ „შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების კორდინირებული განვითარების ცენტრი“) რომელიც შესასრულებელ ღონისძიებებს

დაამუშავეს შავი და კასპიის ზღვის აუზის 15-ვე ქვეყნის ანალოგიურ სტრუქტურებთან ერთად (დასაშვებად მიგვაჩნია განვითარების საბჭოს შექმნაც და მისთვის ამ ფუნქციის დავალებაც), ჩვენ ვთვლით, რომ როგორც საქართველოს, ისე ამ ქვეყნებს, ამ საკითხების ურთიერთშეთანხმებისა და დაბალანსებისთვის წარმომადგენლები უნდა ჰყავდეთ ერთმანეთთან.

7. სწორედ დასახელებულმა ცენტრმა უნდა შეიმუშავოს საქართველოს გრძელვადიანი ინვესტირების განვითარების და სახელმწიფო სტიმულირების მულტიეროვნული სტრატეგია შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების განვითარების კონტექსტში. მასვე უნდა დაევალოს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, კერძოდ, გრძელვადიანი სექტორებიდან პრიორიტეტების შერჩევა და ინვესტიციების ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მათზე მიმართვა. უნდა აღმოიფხვრას ინვესტორის მიერ ინვესტირების ობიექტის ამორჩევის პრაქტიკა.

8. ჩვენი რეკომენდაციების სრულყოფილი შესრულებისთვის სათანადო ორგანოებს ვთავაზობთ გრძელვადიანი ინვესტირების განვითარების სტრატეგიის დამუშავების ბლოკ-სქემას, რომელიც ეყრდნობა ევროპულ სტანდარტებს და საზღვარგარეთის წარმატებულ პრაქტიკას, ხოლო საქართველოს მთავრობას მისი ეკონომიკური ფრთის ადმინისტრაციული სტრუქტურის ფორმირების კონცეპტუალურ მოდელს.

**სადისერტაციო ნაშრომის თემაზე ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცული იქნა ორი კოლოკვიუმი და ორი თემატური სემინარი:**

**კოლოკვიუმი:**

1. კოლოკვიუმი 1 – საინვესტიციო საქმიანობის თეორიული საფუძვლები.

**22.10.2018.**

კოლოკვიუმი 2 – საქართველოში გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის არსებული მდგომარეობის შეფასება. **22.02.2019.**

### **სტატიები:**

1. ცოტა რამ გრძელვადიან პროექტებში ინვესტირების შესახებ. ჟ. „სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, #2-3. 2018. გვ. 70-73.
2. საქართველოს გრძელვადიანი აქტივების შექმნაში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობის შეფასება. ჟ. „ეკონომიკა“, #1-2. 2019. გვ. 74-85.
3. გრძელვადიანი ინვესტირების ზოგიერთი სფეროს განვითარების შესახებ. ჟ. „სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, #4. 2019. გვ. 54-61 (იბეჭდება).

### **კონფერენციები:**

1. საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებულ ზრდას სათანადო მოცულობის ინვესტიციები სჭირდება“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეექვსე საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია - „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მეთოდები გუმინ, დღეს, ხვალ“, 13-14 ოქტომბერი, 2018 წელი. გვ. 190-192.